საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გამომდინარე იქიდან, რომ არის საარჩევნო წელიწადი, სასურველია მისი დაჩქარებული წესით განხილვა

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

განსახილველი საკითხი:

- პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარების ხელშეწყობა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: უპირველეს ყოვლისა, ვიმედოვნებ, რომ მათემატიკურ გათვლებსა თუ საარჩევნო უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის პროცესში გამოწვევა სწორედ დავიანხე, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გავხდები ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა კრიტიკის ობიექტი. არჩევნების პრაქტიკული ორგანიზება კომპლექსური საკითხია, რაც მოითხოვს კანონმდებლობის შემუშავებასა და ზოგჯერ დახვეწას. თანასწორი საარჩევნო უფლება ზოგადი თანასწორობის პრინციპის სპეციალურ ნორმაა, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებას თანასწორ პირობებში. *დამოუკიდებლობის მიღების (აღდგენის) შემდგომ, ამ 30 წლიან პერიოდში საქართველოს მოსახლეობა არ ყოფილა მოკლებული პოლიტიკური ცხოვრებით, რა დროსაც უკეთეს ცხოვრებას* (იმაზე მეტად - ვიდრე ეს თეორიულადაც შესაძლებელი იყო) *მათ მრავალი პოლიტიკური გაერთიანება არ ჰპირდებოდა.* აღნიშნულის შედეგად - ნიჰილიზმი ისადგურებს არა მხოლოდ ამომრჩევლებში, არამედ - იმ პირთა შორის, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე გულწრფელობით გამოირჩევა (ამის მიზეზი კი, ინფორმაციულ ეპოქაში, დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ მიმართული რესურსების ნაკლებობაა). დგება საჭიროება პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღების, რისთვისაც - თავისთავად ჯანსაღი კონკურენციის და თანასწორი კონკურენციის პირობების შექმნა (აღნიშნული განაპირობებს - მოსახლეობის ინტერესებსა და იდეოლოგიაზე პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბებას და ნაცვლად, დღეს არსებულ პოლიტიკურ სახეების ირგვლივ დაჯგუფებას). თუგინდ არჩევნებში მონაწილეობისთვის 25 000 მხარდაჭერის ხელმოწერის მოთხოვნაც - ცოტათი გადამეტებულია, მაშინ, როდესაც 2020 წლის 31 ოქტომბერს - ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით (თუ ვცდები, იმედია არ გამინაწყენდებიან ქვემოაღნიშნული პარტიის ლიდერები), მაგალითად:

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2212/24
26.02.2024 წელს 4

- **ნინო ბურჯანაძე**-ერთიანი საქართველო-დემოკრატიულმა მოძრაობამ მიიღო 16285 ხმა, რაც არჩევნებზე მისულ პირთა 0.85% იყო
- **დავით ჭიჭინაძე** - ტრიბუნამ მიიღო - 9896 ხმა, რაც არჩევნებზე მისულ პირთა 0.51% იყო;
- **შალვა ნათელაშვილი** - საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 19314 ხმა, რაც არჩევნებზე მისულ პირთა 1 % იყო.

სიას არ გავაგრძელებ, თუმცა არც თუ იშვიათად ხვდება სატელევიზიო ყურადღების ქვეშ ის პარტიებიც, რომლებიც 1%-იც არ აუღია 2020 წლის არჩევნებში, რაც სავარაუდოდ მისი მოსაზრებების გამზიარებელ აუდიტორიის არსებობაზეც უნდა მიუთითებდეს (ცალკე თემაა მათ მიერ ჩატარებულ აქციებსა თუ მიტინგებზე - იმაზე მეტი ხალხის გამოსვლა, ვიდრე არჩევნების დროს მიღებული ხმების რაოდენობა). ანუ გამოდის, რომ:

- პარტიას, რომელიც არჩევნებში მიიღებს დაახლოებით 20 000 ხმას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მიიღებს თანხას, თუ არ ვცდები თითო ხმაზე 15 ლარის ოდენობით = დაახლოებით 300 000 ლარის ოდენობით (50 ათასის ზემოთ ხმების მიღების შემთხვევაში 20 ლარს).
- პარტიას, რომელსაც არ ჰყავს პარლამენტში არჩეული პარლამენტის წევრი და ცესკოს წარუდგენოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერ 20 000 ამომრჩევლის სია, იგი ვერ მიიღებს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობას[1].

ზემოხსენებული გარემოება ურთიერთ საწინააღმდეგო გარემოებებს ან/და არათანასწორ შესაძლებლობებს ქმნის. ასე მაგალითად ქალბატონი ნინო ბურჯანაძე - რომელიც 1995 წლიდან მოყოლებული არის აქტიურ პოლიტიკაში, ეკავა უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობებიც კი, ასევე, შალვა ნათელაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს იყო პარლამენტის წევრი, ადამიანებს, რომელსაც ტელეეკრანებიდან მოსახლეობა იცნობს აგერ თითქმის 30 წელიწადია, რიგი სუბიექტური ან არაჯანსაღი გარემოებების გათვალისწინებით იღებენ **15-20 ათასს ხმას** (ხსენებული არასასურველი შედეგი, სავარაუდოდ კვალიფიკაციის ნაკლებობით ან ცუდი პოლიტიკური წარსულით არ უნდა გამომდინარეობდეს) და ამ დროს ისმის კითხვა, პოლიტიკური

---

1 საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილ პირობას (საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა, თუ მას არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი), ვალდებულია პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია. პარტიის მხარდამჭერთა სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური ამ კანონის 38-ე მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში. საარჩევნო პერიოდში ცესკოს სათანადო სამსახური პარტიის მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს სიების წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

პროცესების გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება - პრაქტიკულად ქმნის ერთადერთ გზას, რა დროსაც:

- პოლიტიკით დაინტერესებული ახალგაზრდა (შესატყვისი რესურსების უქონლობის გამო) იძულებულია შეუერთდეს, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და ამ პარტიის წარუმატებლობის შემთხვევაში (ან არასასურველი პოზიციის გამო) პოლიტიკურ ტრანსფერებზე იდგეს არჩევნებიდან არჩევნებამდე, თუმცა, მსხვილ პარტიებს არ ექმნებათ დისკომფორტი ახალ სუბიექტებთან ურთიერთობის ხელახლა განსაზღვრის კუთხით.

მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა შესაძლებლობათა თანასწორობით სარგებლობა განაპირობებს თავისუფალი არჩევნების ჩატარება. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა თუ არ არის ასეთი დაბრკოლებების შექმნა, მან უნდა შეამციროს მსგავსი სახის ბერკეტები და ხელმომწერ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამციროს. სხვა მხრივ გაუგებარია - რატომ ქმნის სახელმწიფო დისკრიმინაციულ მიდგომებს და იმისათვის, რომ უკეთ მოემზადოს 20 000 ხმის მიმღებ პარტიას, ყოველწლიურად უხდის 300 000 ლარს, ხოლო ის ვინც ეხლა იდგავს ფეხს, მისთვის საწყის ეტაპზევე იქმნება მნიშვნელოვანი დაბრკოლება (ასე მოტივაციას არა თუ ახლად შექმნილი პარტია, არამედ ბოლო არჩევნებში წარუმატებლობა განცდილი, თუმცა - დიდი ხნის წინ შექმნილი პარტიაც დაკარგვავს). თუ გვინდა, რომ შევქმნათ ერთგვარი პოლიტიკური სტარტაპი (მივცეთ უფლება ნებისმიერ პარტიას/ პირს თავი მოსინჯოს პოლიტიკურ ასპარეზზე), ახლად შექმნილმა პარტიამ ეტაპობრივად გაიკვალოს პოლიტიკური გზა. 2 500 ხელმოწერის (ან თუგინდ 5 000 ან 10 000 ხელმოწერის) შეგროვება საკმარისი უნდა იყოს => გამოვლინდება ზოგადი ორგანიზაციული და პარტიის მისწრაფებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის მიპყრობის უნარ-ჩვევები, თუმცა ის უნდა შემცირდეს გონივრულად რაოდენობამდე (ამასთან, არ მგონია, რომ ამით - თუგინდ არჩევნებში მონაწილე პარტიათა რაოდენობა ორჯერ გაზარდოს), თუმცა, თუგინდ რამდენჯერმე გაიზარდოს, ვფიქრობ, რომ ყველას ააქვს საკუტარი თავის მოსინჯვის უფლება (თუ არ ვცდები - 31/10/2020 წელს თავისუფალმა დემოკრატებმა - მიიღეს 5188 ხმა, ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველომ - 3750, ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტიამ - 3124 ხმა) => ასეთი მონაცემებით მსგავსი ტიპის პარტიები და პირები, რომელთაც მრავალწლიანი პოლიტიკურ გამოცდილება გააჩნიათ, არა თუ საარჩევნო ბარიერს მიღმა, არამედ სახელმწიფო დაფინანსების გარეშე რჩებიან და გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, შესაძლოა დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება დასჭირდეთ იმისათვის, რომ საარჩევნო კოდექსით უზრუნველსაყოფი პროცედურები დააფინანსონ. პოლიტიკაში თავის დასამკვიდრებლად მათ უღირთ ასეთი მცდელობები და ასეთ დროს, ახლად შექმნილ პარტიას წინა საარჩევნოდ მოსთხოვო იმაზე მეტი ხელმოწერის შეგროვება, ვიდრე პოლიტიკაში თავმდაკვიდრებული პარტიები - ალოგიკური და არათანასწორი უნდა იყოს. რას ეფუძნება ვარაუდი იმისა, რომ ახლად შექმნილ პარტიას ან წინა პერიოდში

პოლიტიკურ რეიტინგ დაკარგული პარტია ვერ აიღებს იმდენივე ხმას, რამდენსაც ისინი. იმ შემთხვევაში თუ ახლად შექმნილი ან პოლიტიკურ რეიტინგ პარტიისადმი მსგავსი გათვლები არ არსებობს, რა მიზანს ემსახურება ასეთი გამოწვევების შექმნა? სწორედ, რომ ხელმომწერთა რაოდენობის რამდენჯერმე შემცირებით გაუთანაბრდება ასეთი ტიპის პარტიების მიერ არჩევნებისას მიღებულ ხმების რაოდენობას - მაგალითად 2 500-ს). არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების ეფექტიანობა უდავოდ დამოკიდებულია ხმის მიცემის უფლების სამართლიან განხორციელებაზე[2]. ამას გარდა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას; ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს; გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლში (37-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და საქართველოს საარჩევნო კოდექსში მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება, რომლის საფუძვლადაც 25 000 ხემომწერთა მონაცემების შეგროვების ვალდებულება შემცირდება გონივრულ/ ზემოხსენებულ მინიმალურ ოდენობამდე.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის ადგილი: ქ. [redacted]

24/02/2024



[2] ვენეციის კომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ წინასაარჩევნო პერიოდს თან უნდა ახლდეს ზუსტი პროცედურული გარანტიები; პროცესი უნდა იყოს გამჭვრივალლე და ღია, და დაშვებული უნდა იყო ყველა პარტიის დამკვირვებელი, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლები